არაორგანიზებული თამაშის შედეგი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 2 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) _ “ლოკომოტივი” (მოსკოვი) 2:2 (1:1).

“დინამო”: ურუშაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, შერგელაშვილი, კუტივაძე, ილიადი (ხუციშვილი), მეტრეველი, ნოდია, ასათიანი, დათუნაშვილი.

“ლოკომოტივი”: ფროლოვი, მასალაევი, როდიონოვი, ზაიცევი, ინოგამოვი უსატორე, ორეშნიკოვი, დავიდოვი, შელუდკო, პეტროვი, კოროტკოვი.

მსაჯი მ. პინსკი (ხარკოვი).

დუბლიორები _ 1:1.

ჩემპიონატის პირველ მატჩს გარკვეული ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან წარმატების შემთხვევაში, კარგი თამაშისას გუნდი რწმუნდება თავის ძალაში და მომავალს იმედით უყურებს.

თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “ლოკომოტივის” მატჩს, უპირატესობა მოსკოველებს უნდა მივაკუთვნოთ, რომლებმაც მეტოქის მინდორზე გაუჭირვებლად მოიყვანეს სისრულეში თავიანთი სამოქმედო გეგმა. ეს ახალგაზრდული გუნდი თამაშობდა კოლექტიურად, აქტიურად და მატჩის მსვლელობაში ორჯერ იყო დაწინაურებული ანგარიშში.

თბილისელებმა აშკარად არასახარბიელო შთაბეჭდილება დატოვეს. “დინამო” მოქმედებდა მეტისმეტად არაორგანიზებულად, უსისტემოდ, უხეში ტაქტიკური შეცდომებით. ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა თამაში რეხვიაშვილისა, რომელმაც დიდი სიძნელეები შეუქმნა თავის გუნდს დაცვის მარჯვენა ფლანგზე. მან ვერაფერი გააწყო კოროტკოვთან და სისტემატურად უშვებდა მას თავისი მხედველობის არიდან. ვერ ივარგა დაზღვევაში ჭელიძემ, ხოლო ხურცილავა ხშირად ტოვებდა თავის ზონას და ამით კიდევ უფრო მეტ ქაოსს ქმნიდა საჯარიმო მოედანზე. მართალია, მან შეძლო გადამწყვეტი გოლის გატანა და გადაარჩინა 1 ქულა, მაგრამ დაცვის ძირითადი მოთამაშის, მოწინავე სტოპერის მოქმედებას უფრო კონკრეტული და ორგანიზებული ხასიათი უნდა ჰქონდეს.

სუსტი იყო ნახევარდაცვაც. ილიადი ჩამორჩებოდა საერთო ტემპს. უზუსტოდ აწვდიდა ბურთს, ხოლო კუტივაძე ძალიან შორს იდგა თავისი ამპლუასაგან. იგი გამთამაშებელი, კომბინაციური ტიპის ნახევარმცველია, შეუძლია თავის თავზე აიღოს გადამწყვეტი დარტყმები, ამ მატში კი მისი როლი ერთობ გაურკვეველი იყო.

თავდამსხმელთაგან პირველი საყვედური ეკუთვნის მეტრეველს. მას ტონი უნდა მიეცა ფორვარდებისთვის, აეწყო თამაში, დაემყარებინა კონტაქტი ნახევარდაცვასთან. ამის ნაცვლად, მეტრეველი ჯიუტად ატარებდა ბურთს, აგვიანებდა და მარცხდებოდა ინდივიდუალურ ბრძოლაში.

ასევე უგეგმოდ თამაშობდა დათუნაშვილიც და მხოლოდ ნოდია იჩენდა დიდ მონდომებას და ენერგიას მოწინააღმდეგის კარის იერიშისას. “ლოკომოტივის” საჯარიმო მოედანზე შექმნილი არეულობა, პირველ ყოვლისა, ხელს აძლევდა მოსკოველთა დაცვას.

ანგარიში მე-8 წუთზე გახსნა კოროტკოვმა. იგი იოლად გაექცა რეხვიაშვილს, დაუბრკოლებლად შევიდა ცენტრში და ახლოდან გაიტანა ბურთი.

ორიოდე წუთის შემდეგ ნოდიამ მიიღო დათუნაშვილის გადაცემა და ახლო მანძილიდან გაქვითა გოლი _ 1:1.

მოსკოველები კიდევ ერთხელ დაწინაურდნენ მეორე ტაიმში, როცა ორეშნიკოვი მარტო აღმოჩნდა დინამოელთა კარის წინ და თავისი გარღვევა გოლით დაამთავრა _ 2:1.

მარცხს ჩვენი გუნდი გადაურჩა მხოლოდ მატჩის მიწურულში. ნოდიამ საჯარიმო მოედანში ჩააწოდა ბურთი, ხურცილავამ ნახტომში მიუსწრო მას, ფროლოვი უსწორო პოზიციაში აღმოჩნდა და გოლი თავით გატანილ იქნა შორეულ კუთხეში.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 4 აპრილი, 1967 წ.